ბატონ მორდსტონს ხელი ჩამოვართვი. ერთის წუთის ყოყ-
მანის შემდეგ მივუახლოვდი დედას და ვაკოცე, იმანაც მაკო-
ცა, ნახათ გადამისო ხელი მხარზე და შემდეგ ისევ აიღო ხელ-
საქმე მე მივეღი ფანჯარისთან, პატარა ხანს ვიხედე და მერე
ვიხელოე თუ არა ღრო გავედი ოთახიდან და ზევით ავედი. ჩემი
საყვარელი საწოლი ოთახი აღარ დამიხედა და მე სადღაც სხვა
ალაგას უნდა დამეძინა. მე ქვევით ჩავედი და ვეძებდი რაიმე
წინანდელის მზგავსს, მაგრამ ყველაფერი ვამოცვლილი და-
მიხვდა. შეუმჩნევლათ გავედი ეზოში, მაგრამ იმ წამსვე უკან
გამოვბრუნდი, რადგან ცალიერ ძალლის ქახში ეხლა დიდი
ძალლი დაბინავებულიყო ისეთივე ბოხ-ხმინი და შავ-ბალნია-
ნი, როგორიც ჩემი ახალი მამა. მან დამინახა თუ არა შაში-
ნათვე ჩემკენ გამოექანა.

մյ Բազեած աթլած միհենոլ սաֆոլ ռոտաեմի, Ռազմական
սածանու լա օյնօնքամթուս վտորութի, մանամ առ համեմոնա.

Ճաթօնալցամա, հուրա բոլամպ ճամոմահա „Ըեզո“ լա սածանո
հաջամենալա խերութուլ տազութան. յը ճյելա լա չըգունի
ովզեն հյիմ սանածացա.

— Ըեզո, մոտերա ճյելամ, հա ճազեմարտա?

մյ համակարութա ամ կոտեցամ լա ցութասոյեց:

— արագյուրո.

մյրյ ճաթացիկին մեռուր ջայրդիյ լա ծալութի հայմա-
լոյ սաեց, հոմ հյիմ աշակաեթեղդուլու բուիցո ճամեմալա լա մար-
տալու առ ճամեթյլացնա.

— Ըեզո, մոտերա ճյելամ: — հյիմու Շալուու!

մթ նույուածմա ճյելատ օմոյմեդյ հյիմի, մազրամ լա ազայր
ուրութեղը լա ճյելաս ելու ջարու, հուրա լին օյսպյեն ճյեն.

— յը սուլ Շենու ծրալու, չյըուրո, ծորուր ճյելակապուր,
լութերա ճյելամ: — էո, սուլ Շենու ծրալու. Շեն Շյամւու հյիմս
Շզուլս մյու լա օւուպ, յոնպ հյեմտաս ժորտասու. հա լուրութեասա
յը? սոսարուլուս մազոյրատ — մեռլութ բանջառա — յաբաս վեցուա.

այ վոցրենո հոմ յուլոսուպ ելու Շյեմեռ, մազրամ յը ելու
ու արու չյըուրուսա ոյու լա արու ճյելուս, յը օյու ծագուն
մորճութոնուս ելու.

— հա ամէացու, յլուրո, հյիմու յարցո, լութերա ման, — յանա
ճագայությունա. ջամացրնու, հյիմու յարցո.

— մյ նույուլունանատա յար, յըուարդ, մուսպյեն մազուրատ
յուպու նածոյչիյ մաջազրիքըն, լուծաւս ճյելամ.

— հաջու յյյեզոտ, հյիմու սուլոյո, լութերա ծագունմա մորճ-
ստոնմա լա մոյեցու — մյ լա ճյելու համոցալու.

ճյելա Քայութա, չյըուրում թիւխարյա Շյեմութեւ լա ճյելաս
յաշըցա. հուրա հյեն մարտոյանո ճազրիտ ծագունմա մորճութոնմա
հայրու յարեցո, ճաջաւա յամից, ճամապյենա տազու ին մյելուցի
Շույ լա մոմահյուրու նորուսաեմու. յաբութեանութու, հոմ հյիմու ուզա-
լուցի յարեազ մուսկը հյերութուցն մաս.

— ճազու, մոտերա լա բուիցո Շյույմի, — մուսկը յազո
յանցոնարու լուցո ան օմուլու հոմ մուռլուպ, հոգուրա զգո-
սու, հաս յուժամդո?

— առ յուս.

— მე ვცემდი — დიახ, მე ცემით მოვკლავდი, განაგრძო მან. — მე დავიფიცე, რომ ჭეუას გასწავლი, მთლად შენი სისხლის დაღვრაც კი რომ იყოს საჭირო. ე რა გაქვს სახეზე?

— ჭეუკი, ვუპასუხე.

ჩემზე უკეთ იცოდა რომ ეს ცრემლის კვალია, მაგრამ ოცჯერაც რომ ეკითხა ამაზე და ვეცემე კიდეც, სიკვდილს ვირჩევდი და არ გამოვუტყდებოდი რომ მრტირნია.

— შენ უჭეულო არა ყოფილხარ, მითხრა მან თავის ბორტი ღიმილით: — ხომ გესმის, რომ მე ყველაფერსა ვხედავ. წალი, პირი დაიბანე და ჩავიდეთ ქვევით.

დარწმუნებული ვიყავი რომ წინააღმდეგობა გამეშვია ია-ტაკზე დამანარცხებდა.

— კლარა, ჩემო სულიკო, უთხრა ბატონშა მორდსტონშა როცა შემიყვანა ოთახში. — იმდი მაქვს ალარ შეგაწუხებს. შენ აღრინდელივით გამხიარულდები.

ღმერთმა იცის რანაირად მინდოდა გამეგონა ერთი ტკბილი სიტყვა მაინც! მაგრამ იმისგან მე ტკბილი სიტყვა არ გამიგონია, ვხედავდი, როგორ სწუხდა დედა, როდესაც შეშინებული გარშემო თვალებს ვაცეცებდი.

ერთხელ ჩვენ სამნი ვსადილობდით. საღილის დროს გავიკონე, რომ სალამოს ჩამოვა ჩვენთან ბატონ მორდსტონის უფროსი და.

საღილთ უკან ჩვენ ალაყაფის კარებს მოალგა ეტლი და ბატონი მორდსტონი დის დასახვედრათ გავიდა. დედაც გაპუვა, მაგრამ კარებში შედგა და მომეხვია, მომეხვია საჩქაროთ, თითქოს ვისიმე ეშინოდა. ხელი ჩამჭიდა და ქურდულათ გამატარა, გავედით თუ არა ბაღჩაში საჩქაროთ თავი გამანება. და ქმარს მკლავი მკლავს გაუყარა.

მოსული სტუმარი იყო ქალბატონი მორდსტონი. ეს იყო პირჭუში, შავთმიანი და გრძელ-ცხვირა შავი ხშირი გადაბმული წარბებით.

ის დიდი სიამოვნებით შემოიყვანეს ოთახში. მან შემოხედა და ჰქითხა:

— ეს თქვენი ვაჟია, ჩემო რძალო?

— დიახ, — უპასუხა დედამ.

— საზოგადოთ ბიჭები არ მიყვარს, სთქვა ქალბატონშა მორდსტონშა — გამარჯობა, ბიჭიკო!

ქ-ნი მორდსტონი სტუმრათ კი არ მოვიდა, არა, ის ჩვენ-სა უნდა დასახლებულიყო. მან ხელში მთელი სახლი ჩაიგდო და დედა აღარათრათ მიაჩნდა, მას როგორც უნდოდა ისე ძიშვავდა საქმეები, ეს კი დედას სწყინდა.

და-ძმა ორთავე პირქუში იყვენ და ჩვენ სახლშიაც მო-წყენილობა შემოიტანეს. ერთხელ როგორლაც დაიწყეს ლა-პარაკი იმაზე, რომ დროა სასწავლებელში მიმაბარონ. ეს აზრი პირველათ ბატონშა და ქალბატონ მორდსტონებმა გამოსთქვეს და დედა, რა თქმა უნდა, საჩქაროთ დაეთანხმა. სანამ-კი სახლ-ში უნდა მესწავლა. თავის დღეში არ დამავიწყდება ეგ გა-კვეთილები. თითქოს დედა მასწავლილა, ნამდვილათ-კი მასწავ-ლილენ ბატონი მორდსტონი და მისი და.

გაკვეთილი სასტუმრო ოთახში იყო ხოლმე, და-ძმის თა-ნადასწრებით. ერთი ამ პირქუშ აღამიანების შეხედვა სულ ამრევ-დამრევდა და გაკვეთილი მავიწყდებოდა.

— ახ. დევი, დევი! მეუბნეობდა დედა — რა დაგემართა!

— კლარა, შენიშნავდა ხოლმე ბ-ნი მორდსტონი. — უნდა მტკიცეთ მოექცე. ყოველთვის ნუ ეუბნები: დევი, დევი! ალერ-სით ვერას გააწყობ, საქმე იმაშია: იცის თუ არა გაკვეთილი.

— მაგან გაკვეთილი არ იცის, — გადაჭრით იტყოდა ჩემდა შემსაზარათ ქ-ნი მორდსტონი თვისი ბოხვი ხმით.

— მეც ასე მგონია, რომ მაგან გაკვეთილი არ იცის, ეთანხმებოდა დედა.

— მაშ დაუბრუნე, კლარა, ეგ წიგნი. დევ გაკვეთილი დაისწავლის. — შენიშნავდა ქალბატონი მორდსტონი.

ყველაზე მეტი შესაწუხარი ამ გაკვეთილების დროს ის იყო, რომ დედაჩემს ეგონა — არავინ მითვალთვალებსო, არავინ მხედავსო და ტუჩების მოძრაობით ცდილობდა ეშველნა ჩემ-თვის. მაშინ მორდსტონი ყრუ და გასაფრთხილებელ ბოხი ხმით წარმოსთქვამდა ხოლმე:

— კლარა!

დედაჩემი შეშინდებოდა, გაფითრდებოდა და მორცხვათ იღიმებოდა.

ბ-ნი მორდსტონი-კი დგებოდა სკამიდან, იღებდა წიგნს

ხელში და ან თავში, ან ყბაში მომარტყამდა, ან წამავლებდა. კისერში ხელს და ოთხიდან გამტყორცნიდა.

ჩემი წვალება ამითი არა თავდებოდა, რადგან იმდენს გაკვეთილებს მაძლევდენ, რომ იმის დასწავლა მეორე დღისათვის ყოვლად შეუძლებელი იყო. ასე მასწავლიდენ ექვსი თვის განმავლობაში და თუ სრულიად არ გამოვტვინდი ეს იმით აიხსნება, რომ ჩუმ-ჩუმათ ვკითხულობდი წიგნებს მამი-ჩემის ბიბლიოთეკიდან.

ერთ დილას შევედი ოთახში ჩემი წიგნებით. დედა კაი გუნებაზე არ დამიხვდა. ქ-ნი მორსტონი-კი თითქოს საომრათ იყო გამზადებული. მამინაცვალის რბილ წკეპლის ბოლოს რაღაცას უბამდა, ეს წკებლა, საცდელათ, ჩემთან ორიოდ ჯერ აიქნია.

— აკი გეუბნები, კლარა, რომ ჩემთვის ძალიან ხშირად უცემიათ, უთხოა ბ-ნ მორდსტონმა.

— რაღა ლაპარაკი უნდა, ეგ ჩვეულებრივი საქმეა, დაე-მოწმა ქ-ნი მორდსტონი.

— მართალია მე გეთანხმებით, ჩემო ჯენნი წაილუდლულა დედამ, — მაგრამ ედუარდს ცემამ სარგებლობა მოუტანა?

— მაშ შენა გვონია მაწყინა, კლარა? მკაცრად დაეკითხა ბ-ნი მორდსტონი.

მე მივევდი რომ ჩემზე ლაპარაკობდენ და შევხედე ბ-ნ მორდსტონს, იმანაც შემომხედა.

— აბა დევი, მითხრა მან და თვალები საშინლათ დაბრიალა. — დღეს კვლავანდელზე ბეჯითათ უნდა მითხრა გა-კვეთილი, თორემ...

და ხელახლად ისე გაიქნია წკეპლა, რომ მისი შეუილი მოისმა. ამის შემდეგ დიდი ამბით წკეპლა გვერდით მოიდო და წიგნი გადაშალა. ეს, საკმარისი იყო რომ სულ დავბნეულიყავ. მე ვგრძნობდი, რომ მთელი გაკვეთილი თავიდან გა-მიქრა, ტყუილათ ვცდილობდი დავმშვიდებულიყავ, მაგრამ გა-კვეთილები წარმოუდგენერლი სისწრაფით მიჰკროდენ ჩემგან.

თუ გაკვეთილის დასწყისი დამავიწყდა, ბოლო რაღა შე-ცოდინებოდა. როცა საქმე ამოცანის გაკვეთებაზე მიდგა და სა-კითხი იყო რამდენჯერ უნდა დამკრან წკებლა. დედამ ქვითინი ამოუშვა.



— კლარა! — მეტრით უთხრა ქ-ნ მორდსტონშა.

— ცოტა უქეიფოთა ვარ, ჩემო ჯენი, უთხრა დედამ.



მე შევნიშნე როგორ დაკვირვებით შეხედა ბ-ნ მორდსტონ-მა დას, როცა სკამიდან წამოჟგა და ხელში წკეპლა აიღო.

— გამიგონე ჯენი, უთხრა მან: — არა მგონია რომ კლა-სამ აიტანოს ის წვალება და ტანჯვა, რომელიც მას მიაყენა დავითმა. დავით წამომყევ ზევით.

როცა კარებისაკენ წამათრია, დედამ ჩვენსკენ გამოიწია, მაგრამ ქ-ნი მორდსტონი გზაზე გადაელობა და უთხრა: „ხომ არ გადირიეთ!“ მე დავინახე როგორ დედამ ხელებით ყურები დაიცო და გავიგონე კიდეც მისი ქვითინი.

ბ-ნ მორდსტონს მე მივჰყვანდი ნელა და დიდი ამბით, თითქო დღესასწაულზე. ცხადი იყო რომ დიდათ ასიამოებებდა ჩემი გაწევპლა: შევედით თუ არა ოთახში ამოიდო ჩემი თა-ვა იღლიის ქვეშ.

— ბ-ნო მორდსტონო, ბ-ნო მორდსტონო, დავიყვირე მე — გამიშვით, ნუ მცემთ, გაკვეთილი ვიცი, ვცდილობ ვისწავ-ლო, მაგრამ თქვენთან და ქ-ნ ბორდსტონთან ომერთმანი არ შემიძლიან... არ შემიძლიან.

— გარბელა შვილისა.
(თარგმანი)

თითქმის წლის-წლის ... იცნობინ ძალებით გადასციან ... სამარტინი შემდინარებულ ების ცნობის დაცვულობის თუ...
ბიძიას ნააშბობი.
 (ბაჟშების ქხოვრუბილენ)
დიაკვნის ნააშბობი.



რი-სამი დღე დიაკვანს ხმა-კრინტი ვერ დავა-
 ძრენეთ... მრავალი გლეხობა მოლიოდა მის
 სანახავათ და ამბის გასაგებათ... თუმცა იგი
 ფიზიკურათ სრულებით გამოკეთდა: მიდი-მო-
 ლიოდა აქეთ-იქით, მაგრამ ლაპარაკით ვერა
 ლაპარაკობდა, მხოლოდ ენას ატრიალებდა.
 უსუსური ბავშვით რალასაც ლულლულებდა, ცდილობდა
 ცნობის მოყვარეთათვის თავისი თავგადასავალი ეამბნა, მაგრამ
 სულ ამათ... ერთი კვირის შემდეგ ერთს დიღას, როდესაც
 მთელი სოფელი მინდოო-ველათ იყო გასული სამუშაოთ და,
 მე კი შინ ჩაის რომ შევექცეოდი, ჩვენსა შემოვიდა დიაკვანი
 და სიცილითა და ღიმილით „გამარჯობა“ მითხრა... ისე თქვნს
 ახალგაზრდა გულს მიეცეს შვება და ლხენა, როგორც ამ გა-
 რემობამ ვამახარა მეც და დედაჩემიც... მივსვით-მოესწორ სა-
 ჩქაროთ მე და დიაკვანმა ჩაი და გავედით გარეთ, ჩვენს კაქ-
 ლის-ხის ქვეშ დავსხედით მარტოთ-მარტონი, უმოწმოთ, შეუმ-
 ჩნეველათ... ქსეთი სიცუმლობა თვით დიაკვანმა მორნდომა,
 რადგანაც, როგორც ეტყობიდა, რცხვენოდა თავისი მხდალო-
 ბისა; ჩემთვისაც ხელ-საყრელი იყო ეს კეკე-მალულობა, რომ
 ხალხს არ გაეგონა ეს ამბავი და ისედაც ცრუ-მორწმუნობის
 ნისლში გახვეულს, არ დაეჯერა ყველა ეს ნაამბობი... დია-
 კვანმა კიდევ აქეთ-იქით მიიხედა და როცა დაჩრწმუნდა, რომ
 ყურს არვინ გვიგდებდა, მიამბო შემდეგი: „მშვენიერი საღამო
 იყო როდესაც ჩემი ცოლი-ძმიდან წამოვედი... ნიავი ქრო-
 და და ღვინისაგან ჩემს შეჭარხლებულ სახეს სიამოვნებით
 ეფინებოდა... ღილინითა და ლხენით შეუდები ალევის აღ-
 მართს... ღილი სიჩუმე და მყუდროება იდგა... ხანდახან ჩემი
 ხმა თუ, ან კვირტას მოხდენილი „ბაჟა-ბუკი“ არღვევდა ამ



სიჩუმეს... „სახიფათო“ გზას მივადექი... არე-მარე ბინდით იყო მოცული, მაგრამ მე მაინც ყველაფერს გარჩევდი... ამ დროს მელიამ წინ გამომირბინა და „სახიფათოსაკენ“ გაეშურა... მე ცუდათა მაქვს მისი ნახვა დაცლილი, მაგრამ მე მაინც გავკერძი და უკან გავყე. ჯერ გული საგულეში მქონდა—სულ იმ სავერანო მელიაზე ვფიქრობდი... ამ დროს რაღაც ფაჩი-ფუჩი მომესმა... ცხენი შევაყენე... ცოტა სული მოვიბრუნე... შიშის ზარბა დამკრა... — „გიორგი!... გიორგი!... აა, გიორგი!...“ მომესმა ხმა და ძახილი... ხმა ნაცნობი... ჩემი ცოლის ხმა... სულ მთლათ დავდნი... გზა-კვალი ამერია, ცხენზედ ველარ ვინძრეოდი... — „გიორგი!... გიორგი, აა, გიორგი!...“ მომძახა კიდევ და პატარათი გაანათა კიდეცი... მერე უფრო ძლიერი ნათელი მოეფინა არე-მარეს და სიცილი მომესმა... დავინახე... ნაძღვილათ ჩემი ცოლი იყო... ხეზედ იჯდა... თმას იგარცხნიდა... გიორგი!.. ხა! ხა! ხა! შემომძახა... წამოვიდა ჩემკენ... უკან შემომიჯდა ცხენზედ... ახლა-კი მივხვდი, რომ ავი სული იყო... ძალა შევიკრიფე... ამოვიდე ხანჭალი... მივკუწ-მოვკუწე იგი... ვახსენე სამას-სამოცდა წმიდა გიორგი და მერე-კი რა მოხდა აღარა მახსოვს-რა, დანარჩენი თქვენ უნდა იცოდეთ.“

მე სმენათ ვიყავი გადაქცეული; ყველა მისი სიტყვა, ყველა მისი გამომეტყველება, მისი სულიერი მღვიმარეობა, აღვიბეჭდე გულში და ამ სიტყვებით მიგმართე მას: „ჩემო გიორგი! ვაჟ-კაცო გიორგი! ეს ყველაფერი შენი თავგადასავალი სინამდვილესთან შორს არის, შენი ოცნებების ნაყოფია და ამასთანავე სიმთვრალის შედეგი და სხვა არაფერი... ვიცი, რომ შენ მრავალჯერ გაგრელია ის გზა, არაფერი არ შეგმოხვევია, რადგანაც ფხიზელი ყოფილხარ... გაე-კაცობა და-გიმსახურებია და მოღი და ღლესაც ეს ამბავი ჩვენში დარჩეს, ნურავის ნუ გაუზიარებ შენს თავგადასავალს და ისედაც ცრუ-მორჩმუნოებით აზეირთებულ ხალხს შიშის ზარს ნუ დასცემ... თქმა იყო და პირობის დადება, რომ გიორგის ეთქვა გლეხებისთვის: „მთვრალი ვიყავი, ვიღასთანაც ჩეუბი მომივიდა, ცხენი დამიჭრეს და მე ცხენიდან გადმომაგდესო“. ჩვენმა საშუალებამ გასჭრა: გლეხებმა ჩვენი ნაამბობი ნამდვილ ამბათ მიი-

დეს, იკინეს, იმხიარულეს და მთხოვეს წამეკითხნა რამე ამათ-
თვის; მეც არ დავზარდი და შემდეგი ამბავი წაუკითხე:

ტრიალ-მინდორზედ.

(მონადირეს ნაამბობი)

მარიამობისთვის ნახევარში მოხდა ეს ამბავი... დიდი სი-
ცხე-პაპანაქება იდგა... მზე ძრიელ აჭერდა... მე, როგორც
გატაცებულმა მონადირემ, არ დავდიე ამისთან „სავერანო“
დღეს და მინდვრათ გავედი სანადიროთ... ბევრი ვეხეტიალე...
ბევრი ვეცადე, მაგრამ ვერას გავხდი, ვერც ერთს ნადირსა და
ფრინველს მე ვერსად შევხვდი... ძალიან შორს მომიხდა წა-
სვლა და ისე შემომილამდა, რომ მე ვერაფერი გავიგე-რა!..
შინ წასვლა დამეზარა, რადგანაც მეორე დღესაც უნდა სანა-
დიროთ წამოვსულიყავი და ვამჯობინე იქვე მინდორში დარ-
ჩენა და ლამის თევა... მალე ცეცხლის შუქი შევნიშნე, იქით-
კენ წავედი და ლამის შეხერ-ბიჭებთან ახლო, ერთს ბუჩქის
ძირს, ბიჭების შეუტჩნევლათ, მოვიკალათ.

სულ ხუთი ბავშვი იყო: თედო, პავლე, ილიკო, კო-
ტე და ლექსო. ყველაზე უფროსი, თედო, ისე 14 წლისა
იქნებოდა... ეს კარგი წამოსადეგი „ტალიკი“ ბიჭუნა ჩანდა.
მის მოღრუბლულ შუბლის ქვეშ ლამაზი, უუშუნა თვალები
გამოიცირებოდა... მეორე ბიჭი, ილიკო, ლაპარაკში სხვაზე
მეტს ამპარტავნობას იჩნდა და მეტსაც ლაპარაკობდა... უვე-
ლა ნიშნითა ჩანდა, რომ იგი მდიდარ ოჯახს ეკუთვნოდა და
მინდორში ისე, გასართობით გამოჰყოლოდა ბიჭებს... ამას
ზოლ-შემოვლებული ჩითის ხალათი ეცვა და კანჭებს შალალ-
ყელიანი ჩუსტები უმშვენებდა... მესამე ბავშვი პავლე, ერთი
შეხედვით არ მოგეწონებოდათ, მანამ კარგათ არ დააცექებდე-
ბოდით მის ცოცხლათ და პირდაპირ მაკერალ ბრიალა თვა-
ლებს... ამას ეცვა ჩითის ხალათი და ქამრის მაგიერ ბაშარი
ერტყა... კოტე მაკვირვებდა ჩუმი და მოწყენილი შეხედულო-
ბით და შეწუხებული სახით. სულ პატარა ლექსოს მე ხომ
სრულიათაც ვერ შევნიშნავდი, პავლეს რომ იგი არ მიეპა-
ტიქნა ახალ შემწვარ სიმინდზე. ჩვენს ახლო ცეცხლს გუ-
გუნი გაპქონდა და კარგათ შორს აწვდიდა ნათელს... თედო
დაჩოქილი სწვავდა სიმინდს, პავლე მხარ-თეძმზე წამოგორე-

ბულიყო, ილიკო კოტეს ახლო დაპირქვავებულიყო დათე-
დოს მოძრაობას თვალს ადევნებდა... კოტეს ასკილივით შირს
ჩაეციდნა თავი და თითქმ რაღაზედაც ნაღვლობდა... ლექსო
ადგილიდან არ ინძრეოდა .. დიღი ბიჭები ისევ ისე ალაპა-
რაკდნ .. ბოლოს ლექსო შეეკითხა ილიკოს:

— მაშ აგრე-ჰა, შენ თვითონ ნახე ალი?

— არა, მე არ მინახამს... ბატონიანთ მოჯამაგირეს უნა-
ხავს. მიუგო ილიკომ შეშინებული ხმით.

— ალი უფრო რა ადგილის იცის? — ჰკითხა კოტემ ილი-
კოს.

— ძველ ნასახლარებში იცის ხოლმე განა, ილიკო? — წა-
მოიძახა ლექსომ.

— ჰოდე... ჩვენებიანთ ნასახლარშიაც იმდენი ალები
ყოფილა, იმდენი, რომ, ხუთი წელიწადი რომ თვალო, ვერ
დასთვლი... ერთხელ მეც გავიგონე ალის ხმა! ...

— როგორ? ძალიან, ძალიან დაიყვირა? — ჰკითხა თედომ.

— ი როგორ იყო: ერთხელ ბლომათ შევეკრიფენით
ბიჭები და ჩვენებიანთ ნასახლართან „კეკე-მალულობასა“ *)
ვთამაშობლით. ვითამაშეთ ბევრი, ვითამაშეთ და, როდესაც
დავიღალენით, იქვე კედლის ძირს მივსხედით და ზღაპარს უამ-
ბობდით ერთმანეთს. მშვენიერი მთვარიანი ღამე იყო... უც-
რივ ვიღამაც ქვა გამოისროლა... აქეთ-იქით დავიწყეთ ყურე-
ბა და ვერავინ შეენიშნეთ... კიდე გაშიისროლა ქვა და თი-
თქმ ცხვარი არისო, ერთი საშინლათ დაიბლავლა... ჩვენ ში-
შით გულები გაგვისკდა და შინისკენ გავიჭეცით... ბიჭო, კო-
ტე, განა შენ არ გახსოვს, შენც რომ იქ იყავი?!

— ჰო, მართალია იქ ვიყავი... ი ვერანამ რო ჩახველა
კიდეც... — დაუმატა კოტემ.

— არა, არ დაუხველებია, მაგრამ დაიბლავლა-კი.

— დედა არ მომიკვდება შე თვითონ გავიგონე, რომ და-

*) „კეკე-მალულობა“ ძალიან კარგი, სასარგებლო სიბავში თა-
შაშობაა. კარგი იქნება შშობლებმა და აღზმრდელებმა დადი უურად-
ება მაქციონ სუ შესანიშნავ თამაშობას, მაგრამ ამის შესახებ შეც-
დები მალე გაუზიარო შშობლებს ჩემი აზრი. ად. ნათაძე.

ახველა... აკი გითხარით კიდეც—ის სავერანო რაღას ახვე-
ლებს მეთქი... ა

— უჲ, რა ოხერი ჩამა ყოფილა,—თქვა მკრთალი და
შეშინებული ხმით ლექსომ—იცით ბიჭებო, ალს ფეხებამდის
ომები აქვსო... წამოილუდლულა ლექსომ და საშინლათ გან-
კალდა.

— წიპრანავ, ეგ მე არ გითხარი?—შეუტია პავლემ.

— დიდი ფრჩხილებიცა აქვსო... იმ ფრჩხილებს ვინც
დააჭრის, იმას ალი მოსამსახურეთ წაჟყვებაო, —დაუმატა ილი-
კომ.

— ხერკელაანთ დემეტრეს კმსახურება აი თურმე, —
თქვა კოტემ.

კოტა ხანს სიჩუმე ჩამოვარდა... თელომ ცეცხლი გააძ-
ლიერა... ლექსო, აქამდის განაპირებული, პავლებსა და თედოს
შუა ჩაჯდა და ზურგი ცეცხლს მიუშვირა.

— ბიჭებო! თქვენ ჩვენებიანთ მახარეს ხომ იცნობთ — აი
მეველეთაც რომ იყო? — დაიწყო ილიკომ — იცით, ევრე და-
ღონებული და ტანში მოშლილი რათ დადის? ერთხელ მახა-
რე წასულიყო ტყეში წნელის მოსაჭრელათ!.. ეტარებინა ავ-
სულს, ეტარებინა და ერთს დაბურულ ტყეში შეეყვანა... მა-
ლე ღამესაც მოესწრო და მახარე ვეღარ გამოსულიყო ტყი-
დან; იქვე პანტის ძირში მიწოლილიყო და ჩასძინებოდა...
ძილში თურმე ვიღაცის ხმა მოესმა... მოესმა, ბიჭებო, ხმა და
მახარე ლომივით ზეზე წამოვარდა... მიიხედ-მოიხედა და, რომ
ვერავინ შენიშნა, ისევ ისე მიწვა... მეორეთ თურმე კიდე მო-
ესმა ხმა... მესამეთაც... მახარე წამოვარდნილიყო ფეხზე დ, კი-
დევ-მიეხედ-მოეხედა და პანტაზე ერთი გრძელ-თმიანი დედა-
კაცი დაენახა... თურმე ეს დედაკაცი თმას ივარცხნიდა და
თან მახარეს ხელს უქნევდა — აქ მოდიო. ამას ძალიან შევში-
ნებოდა და პირჯვარი დაეწერა... დაეწერა პირჯვარი, ბიჭე-
ბო, და იმ დედაკაცს კანკალი დაეწყო და მერე ტირილსაც
მოპყოლოდა. მახარეს კიდევ პირჯვარი დაეწერა.

— სამჯერ უნდაო, აი პირჯვარის დაწერა, აკანკალებუ-
ლი ხმით წარმოსთქვა ლექსომ... .

— ე წიპრანა რომ კაცს ლაპარაკს არ დააცლის?! შეუ-
ტიეს ბიჭებმა... — მერე, მერე, ილიკო, თქვი გენაცვა!..

— დაიწერა, ბიჭებო, პირჯვარი და ახსენა გორის-ჯვრის წმიდა გიორგი. ალი იმ წამსვე გამქრალიყო და მახარესაც ეპოვნა გზა და წამოსულიყო სახლში.

— ი დინ-ძალლი, ის... როგორა ნდომებია ქრისტიანი კაცის შეცდენა!.. თქვა პავლემ. კიდევ კარგი, რომ პირჯვრის დაწერა მოჰვინებია, თორებ ის მახარეს წაახდენდა.

— ეგა თქვი და!! იმ სატიალოს როგორი წკრიალი ხმა ჰქონია!! თურმე ისეთ წკრიალ ხმაზედ გაპკიოდა, გეგონებოდა მეორეთ მოსვლააო, განაგრძო ილიკომ.

— უიმე დედავ! აქაც რო მოვიდეს, რაღა გვეშველება, თქვა ლექსომ.

— ისეთს კეტსა ვსდრუზავ თავში, სულ „ვაი დედას“ ვა- დახებინებ, დაუმატა თედომ.

— ბიჭებო! ჩართლაცა და აქაც არსად იყვეს ალი!! სთქვეს სხვებმაც და შიშისაგან ძაგლაგი დაიწყეს.

— ალი განა ამისთანა ადგილებში დადგება? სამების ნი- ში თავს დაგვყურებს, გაამხნევა თედომ.

ცოტა ხნს კიდევ სიჩუმე ჩამოგარდა... უეპრივ, სადღაც შორს მოისმა ყმუილი... შეშინებულმა ბავშვებმა ერთმანეთს შეხედეს... ლექსო სულ მთლათ დაღნა, დაიწურა და თედომ ჩამოეკონწიალა კისერზე.

— რაღაც ამბავია ჩვენ თავს — თქვა ილიკომ.

— ალი არი?.. მე მეშინიან... წამოილულლუდი ლექსომ.

— რისა გეშინიანთ? ვახსენოთ აბა წმიდა გიორგი, თქვა თედომ და ყველანი მოჰყვნენ პირჯვრის წერას.

მოისმა კიდევ ყმუილი... ესენი უფრო აკანკალლნენ... მე ველარ მომითმინა გულმა და თოფი გავისროლე... ძალლები საითკენლაც გაექანენ... ყველანი ფეხზე წამოდგნენ... ლექსო- კი თითქო მიწას მიეკრაო, ვეღარ დაიძრა ადგილიდან... მა- ლე ფეხის ხმაც მოესმათ და აქეთ-იქით ცქერა დაიწყეს... თითქო ხმაურობაც მოესმათ ახლო... რამდენათაც შთვარისა და ვარსკვლავების ნათელზედ შენიშნავდა კაცი — ვიღაც სულ ახლო მოვიდა და დაიძახა კიდეც: — ნუ გეშინიანთ, ნუ, მე ვარ... პალიკო... ილიკოს საძებნელათ დავდივარ! მანდ არის, თუ არა? ყველამ იცნეს, პალიკოს ხმა... ერთს წუთს ყველა-

უერი მიიღიწყეს... ლდქსო და ილიკო ჩაეკრენ გულში პალი-
კოს და ბიჭი იქნებოდა ვინმე მოგლეჯდა მათ მის გული-
დან... ილიკომ კრინტი-ხმაც ველარ დასძრა და არც ესმოდა
რაზედ ელაპარაკობდნენ, უეცრივ ცივმა ნიავმა მოგვებრა და
ბიჭების თვალებიდან შიშის ლრუბელი გადაყარა... გათენებუ-
ლიყო კიდეც... ჩემს თვალ წინ ეგდო ერთი უშველებელი ტუ-
რა, ჩემი თოფის მსხერპლი და ძალლებისაგან გაგუდულ-და-
გლეჯილი... საქონელიც აიშალა და ბიჭებმა „ოდელიას“ ძახი-
ლით გარეკეს იგი საძოვრათ... პალიკო და ილიკო დაიძრნენ იმ
ადგილიდან... მეც უკანასკნელათ გადავავლე ყმაწვილებს უძი-
ლობით ამღვრეული თვალები და მოვშორდი იმ არე-მარეს.«

ალექ. ნათაძე.

(შემდეგი იქნება)





მტკვარი, ჭოროქი და რილინი.

ამათ სათავეთა ბუნება და ხალხი.

(შგზაფრის დღიურიდან)



ხლა ბატონო, მაგლენი მონა საიდან არი
აფრიკაში? ან ჩათ უნდათ რომ ყიდულ
ლობენ?

— მაგას რა გამოცანა უნდა... მთელი
ცტრიკის შუაგული პატარ-პატარა სამთავრ-
როებათ არის დაყოფილი. ერთი ერთმან-
ერთში განუწყვეტილი ომი და შფოთი
აქვთ, კოჯილ წლივ ობობენ, ათასობით
ტყვე მოჰყაფთ და მონებათ ჰყიდიან. ხო-
ლო ეცროპიელები იმიტომ ყიდულობენ,
რომ პლატაციებში აძუშავებენ. როგორც
ცხენს, ხარს და სხვ... რა ვქნა! შენ ჩა-
ტომ ე მაგრე ხამათ ლაპარაკობ, დანიელ,
შენს დროულ კაცს უნდა კარგად ახსოვ-
დეს საქართველოში ბატონ-ყმობა!?

— ბატონ-ყმობა როგორ არ შახსოვს—
ქუთაისში, ქართლ-კახეთში რამდენჯერ მი-
გაჭრია თავადებთან ახალციხეური ნაკედი

ვერცხლის ნივთებით, „აუცრნის“ რო მოგახსენებენ, მაგრამ
თქვენ მონებს ბრძანებთ...

— მერე რაო, ყმა იგივე მონა არ იყო...

— მართალია ბატონო, მაგრამ ჩვენში ყმობა არ ვიცო-
დით...

— აი მაგაში-კი მართალი ხარ, დანიელ, თქეთა მხარე
ე. ი. ახალციხე, ანუ უკეთ რო ვსოქვაო, სამცხე-საათაბეგო
ოსმალებს რო ჩაუვარდათ ხელში (1685 წ.), ბატონ-ყმობაც
თავის-თავად მოისპო, რადგან ოსმალეთში ბატონ-ყმობა არ
არსებულა მის დღეში... მაგრამ მონები-კი უწინ ყველა სა-

ხელმწიფოში ჰყოლიათ, მაგალითად ინდოეთში, ჩინეთში, ასურეთ-ბაბილონში, ისრაილსტანში, სპარსეთსა და ოსმალეთში, ძველ საბერძნეთში, რომის იმპერიაში, რუსეთში, საქართველოში და სხვ... ერთხელ მეფე გიორგიმ, თამარის მამამ, მაგ არარატის კალთები მიარბია—მოარბია „აღილო ქალაქი ბრძოლითა და წარმოიღო ტყვენი და ალაფნი დიღნი, რამეთუ ტფილის ტყვე, დრამად ისყიდებოდა“. (იხილეთ ვახუშტი)

— ეგ თითო ტყვე როგორ მოდის, ბატონი? მაშ კაცი ექვს შაურად გაუყიდნიათ!..

— ეგ შენ იანგარიშე, დანიელ, და მე-კი ისტორიულ ფაქტებს ჩამოგითვლი. აი რას გვიმბობს გიორგი მეფის თანამედროვე მემატიანე, სამოელ ანელი:

„13 ივნისს 1163 წ- გიორგიმ მეორეთ აილო ქალაქი ანი და 7,000 მხედრით 1 აგვისტოს დამარცხა შაპი-არვენი, თუმცა ამას ჰყავნდა 30,000 ჯარი. ეს ჩვენ ჩვენის თვალით ვნახეთ... მარტო ტყვე აღიწერა 23.000, გარდა დახოცალთა, რომელნიც მინდვრათ იყვნენ გაბნეულნი...“

„21 აგვისტოს 1164 წ. მეფე გიორგიმ დაიჭირა ქალ. დოვინი, დაანგრია მუსულმანთა სალოცავი და ტყვეთ წამოიყვანა 60,000 კაცი“...

„ქართლის-ცხოვრების“ სიტყვით თამარ-მეფეს ვაჟი შვილი გიორგი რო მიეცა, 1030 მონას მიანიჭა თავისუფლება, გიორგის სადღეგრძელოთ“...

— უწინდელი დრო სხვა ცყო. დანიელ, და აკი დროს შესაფერათაც იქცეოდენ. ეხლა-კი აგერ იაპონელები ტყვე-რუსებს უკეთ უვლიდენ, ვიდრე თავიანთ საკუთარ მხედრებს. დაჭრილ-დაკოდილ ტყვე-სალდათებს და ღენერლებს თავგა-მოდებული უვლიდენ იაპონელი დოქტორ-პროფესორები. ეხლანდელ ადამიანურ წესით ვიდრე მტერი თოფ-იარალით გებრძოვის იგი მტერია, ხოლო როცა ხელიდან იარალი გავირდება, ის მტერი აღარ არის, მხოლოთ ტყვეა და მით უფრო დაჭრილ-დაკოდილ ჯარის კაცს რაოდ მტრობა შეუძლია, იმას მოვლა უნდა. ტყვე-ფიციურებს იაპონელები ჯერ ხმალს ართმევდენ, ხოლო ვინც პატიოსან სიტყვას მისცემდა აღარ გეომებითო, იმას ხმალს ისევ უბრუნებდენ და რუსეთისკენ

ուստիշմրեթցըն. այ աելա այցու գրու դալցա, հիմու դանոյլ, գրու աճամօնոծնուսա, լոմոնցոյրեթցնուսա. զատու, ծարծահռուսոծնան կալոթրունք նյու-նյու ալթիցն տացն, մացրամ, դանոյլ, ուր և մոմացոնքն ա, վարմութցոնց հու վունկացու վայու մունցն.

— Կայս, ծարոնու, լիքրու գալուցրեյլութց, ամ գրու շուն կապուս մասեահատ ացքեթաս նոյ օյալութու.

— մասեահռունք կո արա, դանոյլ, այ սայմե հռոցոր արու: հռոցորւ աճամօնութշնու, վունկացու վայու գարուսա մյուրե չցարս յոմեթուան. ցամարչացու անցրեցն, օյլութցն դամարւ շեցուլու ծնոն-ծնութցն ս, սկամեն մատս կայրւեթն (Վարչն), եռլու հապ շեցությունու ցալարիեթատ մուշութցն ան շոնուսկյուն և ծություն ոնաթցն. ամ նաժաւը կայրւեթն օւան, հռուս վունկացու ցամու ույցյութուն, մոխալ եղցն օւան. վունկացու ծարոնութցն ամուշացութցն մունցն պայլու սամնում և սայմե շուն. օցրութու մուշութ մուշութ վունկացու ծարութցն ան սամրատ. ցալութու-մոխա վունկացու ծարութցն աելալ ցամութցու ծարոնու-շունուան—մոխա եղցն օւան. և ու շիմա սբու յս պայլութու եղցն մոխաթրեթու կո արա. այ ծունցն օւութու մութրեցութցն մուշութցն. ցամարչացու լուսութցն, սրությունու մունցն պայլութցն, օւութու մութրեցութցն ալլութու մութութցն, հռուս սապ ցամութցն մուշութցն ոյ սբու, սեցա և գիտ կյուն օւան. ոյ հատ գոն լու, դանութ, վունկացութցն սայլութց մոխութցն անաթազցն, մացրամ արա—շեցութց ոյուս, հռութութ ամասապ ցամաթու.

— մերյ, ծարոնու, և հարու մոխուս առ սիրութու դամացյ ծանու...

— մերյ, մերյ, դանոյլ! յիշը վուլու հու շենուստանա ցաս նարուկութցն գարություն արացյու սիրամտ-հա. մերյ մունցնուս շեսաեթն կություն ցումնու և աելա-կո սիրություննա ամունու եալուս ցամութցն. աելա շեն յրու յ մաց մոխուս վասիրի սիրութց սալութությ ամլութու յուրատու, մուշութցն...

— մոխութ մոցաթեթցն օւութ: „աճամ սաութ օւուս հիւնու սիմ լութութ“?...

— չաշակեթշու, յրուս գութ վայու լութանց, մասեոցն օմլու-

რა შევკეტ-ბეგმა ფალავანლიშვილმა და ყველანი აღტაცებაში
მოგვაწვანა... აბა, დანიელ, ჰო თქო... ამღერონ...

გათავდა სადილი და მწყემს-ქურთის მეტად შესანიშნავი,
ნაციონალურ პანგზე სიმღერაც. ამის შემდეგ გაიმართა ცეკვა,
ძველებურ დაფა-ზურნაზე. ქალ-ვაჟთ ჩაჰკიდეს ხელი-ხელს,
ჩააბეს ფერხული და გაჩაღდა ნაციონალური, ამათი საყვარე-
ლი ცეკვაობა „ჩოფი“—ფეხებს ატყაპუნებენ, თან ფერხულს
უვლიან (ბიჯი უკან, ორი ბიჯი წინ). ტანს არხევენ ქალები
უფრო ზრდილობიანათ, მოხდენილათ, კეკლუპათ; ვაჟები-კი
ზოგჯერ გადაამლაშებენ ხოლმე. იმავე დროს ზურნის ხმაზე
დამღერიან ვაჟები და ვინც უფრო აღელვდება, უშვერათ
გაჰკიფის...

დავიშალენით...

ახლა, ჩვენი ყურადღება მიიქცია, ჩვენკენ მომავალმა
ორმა მხედარმა მგზავრმა, რომელნიც ჯერ თვალის მანძილზე
იყვენ დაშორებულნი.

II.

შავი ზღვის მხარეს, ცაზე რაღაც ამბავია,— ამბოხება,
ალიაქოთია, დასავლეთისკენ გადახრილი მზე ღრუბლებმა და
გვიჩრდილა, ასტყდა საშინელი ღელვა, აურ-ზაური: გაშფო-
თებული გოლიათი ღრუბლები ერთმანერთს დას-დასათ უტე-
ვენ, ღვევებივით იბრძვიან; მკერდს მკერდზე აჯახებენ, მათი
რახტის ცემისაგან ცა და ქვეყანა ზანზარებს...

— ბატონი...

— რაო დანიელ?..

— განა არა— დღეს მზე ძალზე იკბინებოდა. ხედავთ ცის
რისხება?..

— კარავში მობრძანდით, თორემ ქარიშხალი შეგაწუხებთ.
— ხედავთ, ბატონო, ელია წინასწარმეტყველი თავის სამ-ცეკ-
ნიან ეტლით დააჭინებს. წინ-კი ეშმაკები გაუხტიან, იღრიჯე-
ბიან, გულს უსიებენ. ბრაზ-მოსული ელიაც მათ ცეცხლის
შოლტით სდევნის, აჭერებს, ერეკება, შოლტავს. ხედავ, ხე-
დავ... რა საშინლად გაიელვა— დაიკლაკნა— ეგ ელიამ შოლ-
ტი გაჰკრა გაუტყულაშუნა!... .

— რათ დაგავიწყდა, დანიელ, ცხენებით-კი არა, მოსუკ
ცი ელიაც ეხლა ელექტრონის ავტომობილით დაგრძიალებს
კაეშნის გასაქარვებლათ. შენი ჭირიმე, ელექტრონი დააკლდე-
ბა თუ!?!... ღრუბლები იმდენად არიან ელექტრონის ენერგი-
ით გაელენთოლი, თუ გინდ ყოველ ცისმარე დღე ისრიალოს,
მაინც ელექტრონის ძალას ვერ გამოლევს.

ვეშაპი შავი ღრუბლები ჩვენკენ მოეშურებიან, მზეს გვი-
ბნელებენ. მოუხშირა ელვამ და ქუხილის ხმაც უფრო ძრიელ-
დება, გვიახლოვდება, მსხვილათ წამოწინწკლა. რამდენიმე წა-
მიც და ერთი ისეთი გაილვა, რომ თვალმა ვეღარ გაუძლო.
ის-კი კარგად შევამჩნიე, როცა ელექტრონმა რამდენჯერმე
ღრუბლებს გაჰკრა...

სულ რაღაც ნახევარ საათის განმავლობაში, სამყაროს
ლაბორატორიამ ყველაფერი ზედი-ზედ მოაწყო და მოგვივ-
ლინა: შავი და მძიმე ღრუბლები, ელვა-ქუხილი, ქარი-გრი-
გალი, ჯერ შხაბუნა და მერე კოკაპირული წვიმა. კორკოტე-
ლა და კანტი-კუნტათ სეტყვაც-კი გადმოისროლა, ამასობაში
ერთი საშინალი გაიკვა, დაიკლანა, დაიგრიალა, იჭექა, საღ-
დაც მეხი ჩამოვარდა და... ვამოიდარა კიდეც, ღრუბლებმაც
გადაიყირა — აღმოსავლეთისკენ გაიფანტენ, ყოველივე დამშვიდ-
და, ჩაჩუმდა. მთის ნაღარევებზე ნიაღვრის ნაკადულებიღა
ჩამოჩხრიალებენ, ხმაურობენ.

დასავლეთიდან გამოჩნდა მზე, ქვეყანას შუქი-სითბო მოჰ-
ფინა და მისმა სხივებმა შორს გაინავარდეს, ჩირალდანივით
აინოენ. მზის პირდაპირ, ნისლიან ცაზე, ორ ალაგას გამოჩნდა
უშველებელი რქალი, ორი მშვენიერი ცისარტყელა...

გარეცხილი, გაწმენდილი ჰაერი ჭექის მერე აზონით გა-
იყსო (მე რო მკიოხოთ გოგირდის სუნიც-კი დატრიალდა),
მთლად არე-მარეს სიცოცხლე და უკვდავება მოეფინა.

გამოდარებაზე მოგვიახლოვდენ ის უცნობი გეზავრებიც,
წელან, საღილის დროს რო შორით მოსხანდენ. ისე იყვენ გა-
წუწულნი, როგორც ლაზარე.

— სად მოგასწროთ მეხმა!? — იყო ჩემი პირველი კითხვა.

— ცხენები გადავაძით და ჩვენ-კი იძათ დავშორდით. ნაბ-
დებში გავეხვიერ და მიწაზე წავწეპით. —

— ხოლო პირველად რო გაიელვა — დაუმატა მეორემ —
დავიწეკე თვლა და ოცხე მეტი დავთვალე ვიღრე დაიქცედა;
ეს იმას ამტკიცებდა, რომ ელვა ჩვენზე შორს იყო და ჩვენ ც
უშიშრად გზას გამოვეშურეთ, მაგრამ როცა ელვის და ქუხი-
ლის შეა სწლ 5 თუ 8 დავთვალე, მაშინ-კი სასტიკათ მოვ-
თხოვე ჩემს თანამგზავრებს გაჩერება. ჩამოვხტით... ჩვენს ბედ-
ზე ღელე გვქონდა გასავლელი და აქ გავჩერდით. ასე რო არ
გვექნა, აქვენი მტერი, მეხი თავზე დაგვეცემოდა.

— ახლა?! ახლა ხო ხედავთ ამ შუვენიერს ცისარტყე-
ლებს — მივმართე მე — ხო სუნთქავთ ამ უკვდავების ჰაერს...
არა ბატონებო, თუმცა თავსხმამ შეგაწუხათ, ელვა — ჰექამ ში-
შის ზარი დაგუათ, მაგრამ... სამაგიეროთ ეს საუცხოვო სურა-
თი ბუნებიხა მთელს სიცოცხლეში სამახსოვროთ დაგრჩებათ.

— შენ რაღას სდეტ, დანიელ ხახამი!.. გეითხარ ეს ჭრელი
ცისარტყელა რიღას მომასწავებელია?..

— ეგ, ბატონო, თქვენც ყველამ იცით, რო წარლვნის
შემდეგ ღმერთმა ნოეს მოუვლინა: ამიერიდან აღარა დროს
აღარ იქნება წარლვნაო... .

— .

ახლათ მოსულებში ერთი აღმოჩნდა „პოდაცენი ინსპექ-
ტორი“, კახელი თავადი; მეორე მატყლის ვაჭარი და ყველის
და ერბის დამკვეთი — თბილისელი სოფაგარი და მესამე ქუ-
თაისელი. ჩივდარი ჯავახელ გლეხის თანახლებით.

ჩამოვჯექით კლდეზე — ნიაღვრისაგან გამოკვეთილ ტახტ-
ზე და მე და კახელმა თავადმა რუსული გავაბითა... .

— დანიელ ხახამ!

— მიბრძანე ბატონო... .

— ღმერთი იყოს შენი მმანანებელი... აი ამ კახელ თა-
ვადს უმაღლესი სწავლა მიუღია ხარკოვის უნივერსიტეტში,
სადაც ბუნების-მეტყველება შეუსწავლია, ჰოდა, სწორეთ რო
ღმერთმა გამოგვიგზავნა. მე და შენც ამისთანა სწავლული კა-
ცი გვჭირია. აი ამას ვთხოვოთ აგვიხსნას რაც ამ საღამოს
ცაში ამბავი მოხდა... .

— უკაცრავათ კი ვარ კნიაზთან, და მოსეზე ნასწარლი ხო
არ იქნება; მე კარგად ვიცი რო კნიაზს სიბრძნე სოლომონი-
სა წაკითხული არც-კი ექნება...

— ერთი თუ მოსეს რჯული გწამს ცოტას მოიცადე, რა
დროს სოლომონის სებძრძნეა.

ბუნების-მეტყელმა ბევრი აღარ გვათხოვნინა. ყაბალახი
გადიხადა, პაპირას მოუკიდა, რამდენჯერმე გულიანათ გაა-
ბოლა, ნაფაზი ამოიღო და... საუკხოვო ლექტორი აღმოჩნდა.

— ბატონებო! — დაიწყო თავაღმა — მეცნიერება გვასწა-
ვებს ჩვენი რომ ცისარტყელა ეგ სულ უბრალო თვალთახედვის
მოვლენაა აზმოსფერაში, და სხვა არაფერი. აი ამ წამს შემ-
დეგ სურათს ვხედავთ: ჩამავალი მზე, ალმაცერათ ჰაერში შორს
სტყორუნის ცის კამარისკენ თავის ცეცხლებრ სხივებს, რო-
მელთაც წინ ელობებათ წვიმის წინწკლები, (წვიმა სცრის).
სხივები წვიმის წინწკლებში, ნამის ცვარში იმსხვრევიან, ილე-
წებიან და უცხოთ, სამოთ გამოკრთიან იმ ფერადებით რა
ფერადებსაც თვით დიდებული მზე შეიცავს ..

„მაგალითად ჩვენი თვალი ეხლა მოქცეულია მზის და უ-
შუნა წვიმის შუა — ზურგს უკან მზე გვიდგია და წინ ცისარ-
ტყელა, ჩვენ ვხედავთ ცის კამარაზე გადაჭიმულ, ფერადებით
აღვილს ორ ცისარტყელას. ერთის ფერადები უფრო ძრი-
ელ ბრწყინავს, მეორისა-კი მკრთალათ მოსჩანს... გთხოვთ
მიაქციოთ უურადლება ჯერ. აი ამ პირველ რკალს, რომლის
ფერადებიც უფრო ძრიელ აშუქებს. აბა დავასახელოთ ფერა-
დების რიგი: აგრე ჯერ წითელი, მერე ნარინჯი, ამას მისდევს
ყვითელი, მწვანე, ლურჯი და იისფერი. ერთის სიტყვით ყვე-
ლა ის ფერადები გამოკრთიან, რომლებიც მზეს აქვს და რო-
მელიც ჩვენ შეგვისწავლია. აბა ახლა მეორე (ცისარტყელა) გა-
მოვიკვლიოთ, აგრე შაგ პირველის ზემოთ რო რკალია ხედავთ
მაგის ფერადების რიგი, პირველთან შედარებით, უკუღმა იწ-
ყება და მქრთალათაც მოსჩანან... მეცნიერთა სიტყვით, ძრიელ
იშვიათათ, ერთსა და იმავე დროს შეიძლება სამი ცისარტყე-
ლაც გამოჩნდეს ცაზედაო. მაგრამ, ბატონებო, აბა, იქნება ვი-
სმე გენახოთ ლამის ცისარტყელა?.. ვინ იყავით აგრეთი ბედ-
ნიერი?..

ამ კითხვაზე პასუხი გასცა ქუთაისელმა, რომელმაც აღ-
ტაცებით აგვიწერა მეტად დიდებული, მშვენებით აღსავსე ბუ-
ნების სურათი.

— უნდა მოგახსენოთ ბატონებო,— დაიწყო ქუთაისელმა.
— მე რო მოვლენას შეცსწრებივარ, რაც მე მაშინ სიამონება
ვიგრძენ, საიქიომდე გამყვება... მაგრამ საქმე იმაშია, შევძლებ
განა დაგიხატოთ იმ სურათის მეასედი მაინც... არა მგონია.

,,შუა-ლამე იქნებოდა, შეიძლება გადასულიც იყო. სოფ-
ლათ მივემგზავრებოდი ჯავხეთში... მე დიდი მოტრფიალე
ვარ ბუნებითა და მეტადრე ძრიელ მიყვარს სამყარო— ვარსკვ-
ლავებით მოჭედილი ცა და მისი აუწერელი სურათები. მი-
ყვარს პლანეტა კაშკაში— ლადლადი, ვარსკვლავთა მხიარუ-
ლი ცრმიმი, მათი შუქი და ნაზი დუმილი... შემოდგომის
პირზედ პირველად დათოვლილი აბულის მთა შაქრის თავი-
ვით ბრწყინავდა. ცას ებჯინებოდა, ღრუბლებთა ფერხულში
ჩაბმულიყო. მართლაც და ღრუბლებით თითქმის გავსილი იყო
ცის კამარა მთლად ამ სურათს აშუქებდა ცის მნათობი, სავ-
სე მთვარე. დაუბერა ქარმა, მთვარე ღრუბლებში ჩამალა, ზო-
გან-კი ცა გადიწმინდა. სწორედ ამ დროს წარმოშიდვა დაუ-
ჯერებელი სურათი— ცისარტყელა შუალამისას!... მთლად მო-
ხიბლული გავოცდი, გავშტერდი, მეშინოდა თვალის მოშო-
რება, ცისარტყელას მშვენიერი ფერადები მთვარის შუქში
კრთოდა, თან ცის კამარას ელფერს ჰყენდა, ელვარებდა, მაგ-
რამ ვერ წარმოიდგენთ რა გვარ გული მომიკლა ერთმა უზარ-
მაზარმა ხეპრე ღრუბელმა,— ალბათ შეშურდა ჩემი სამოთხიუ-
რი აღფრთოვნება და... წინ უშვერათ ამეტუზა, ცველაფერი
ჩამიქრო და ჩამიბნელა.

,,ჯავრისაგან გულ-მოსულმა მუჯლუგუნი-ლა წავკარ ჩემს
თანამგზავრს, და ცაზედ მიუთითე... მაშინ რა ვიცოდი თუ
ლამეც შესაძლო იყო ცისარტყელა.

მაშინ ლექტორმა აგვიხსნა:

— ეგ იშვიათი მოვლენა, ბატონებო, მოხდება ხოლმე
მაშინ, როდესაც კაშკაში მთვარე საწვიმე ჯანლს, ანუ ნისლს,
აშუქებს. უეჭველია ცველამ იცით, რომ თავის თავად მთვარე
სრულებით ბნელი სხეულია, მთვარესაც ისე აშუქებენ მზის
ცხოველი სხივები, როგორც ჩვენს ცოდვილს დედა-მიწას, მხო-

ଲାଦ ଠିକ ଗାନ୍ଧିସବ୍ରାତେବିତ-କି, ରମ୍ଭ ମତ୍ତାର୍ଥ୍ୟ ଡିଲି କାନ୍ଦା ମନ୍ଦିରଙ୍କ ଦିଲିଗା ସିପିଆକଣ୍ଠରୁ ଯାଏଇଲିବେ ନିଶାନ-ଚିହ୍ନାଳ୍ପିଲୋ. ମାତାପାତାମ୍ଭେ ଲୋ-
ମିଳି କିଶାର୍ତ୍ତପ୍ରେସ୍‌ରୁ ଥିଲି କିଶାପ୍ରେସିତ କାରିଲି ଗାମନ୍ତିବ୍ୟୁଲିନ୍, —ଖେଳ
ମତ୍ତାର୍ଥ୍ୟସ ଅନ୍ଧକ୍ଷେତ୍ରରେ, ଅଧିକ୍ଷୁଭ୍ୟେକ୍ଷନ ଲାଭ ମତ୍ତାର୍ଥ୍ୟରିତାରେ
ମିଳି କିଶାପ୍ରେସିତ କିଶାପ୍ରେସିଲା ପିଶାର୍ତ୍ତପ୍ରେସିଲା ନିଶାନାଳ୍ପିଲୋ କାରିଶି. ଚିଲ୍ଦା-
ଚିଲ୍ଦାପ ପିଲି କିଶାର୍ତ୍ତପ୍ରେସିଲା ଲାଭ ପିଶାର୍ତ୍ତପ୍ରେସିଲା କାରିଶି. ରମ୍ଭା
ଚିହ୍ନାଳ୍ପିଲୋ ଶାଫର୍କିବାନି ମାଲା କିଶାପ୍ରେସିଲା କାରିଶି କିଶାର୍ତ୍ତପ୍ରେସିଲା
କିଶାର୍ତ୍ତପ୍ରେସିଲା, ଅନ୍ତରେ କିଶାର୍ତ୍ତପ୍ରେସିଲା କିଶାର୍ତ୍ତପ୍ରେସିଲା କାରିଶି କିଶାର୍ତ୍ତପ୍ରେସିଲା
କିଶାର୍ତ୍ତପ୍ରେସିଲା, କିଶାର୍ତ୍ତପ୍ରେସିଲା କିଶାର୍ତ୍ତପ୍ରେସିଲା କାରିଶି କିଶାର୍ତ୍ତପ୍ରେସିଲା, ତା
ରମ୍ଭ ଥିଲି କିଶାପ୍ରେସିଲା କିଶାର୍ତ୍ତପ୍ରେସିଲା କାରିଶି କିଶାର୍ତ୍ତପ୍ରେସିଲା କାରିଶି କିଶାର୍ତ୍ତପ୍ରେସିଲା.

ପିଲି. ଏଲିକ୍ଷିତିଶ୍ଵିଲି.

(ଶ୍ରୀମଦ୍ଭଗବତ ପାଞ୍ଚମିଃ)





365 ლ 0
მინიჭება

ჭ ვ რ ი ლ გ ა ნ ი.

ლონდონში ამ რამდენიმე წლის წინად შესდგა ამხანაგობა მოზრდილ ბიჭებისა, რომლის წევრებს ეხლა შეაღენს ათას კაცზე მეტი 14 წლითან დაწყებულ 18 წლამდის სწრაფლათ და შეგნებით ასრულებენ ეს ბიჭები ყოველს მინდობილებას, რასაც-კი კაცი მიანდობს.

ისინი ატარებენ სასეირნოთ ბავშვებს, როცა დედ-მამა მოუკლელათ არიან, დაარბეინებენ წერილებს, სწმენდენ წალებს, უჩვენებენ ქალაქის შესანიშნავ ალაგებს უცხოელებს, ემსახურებიან სუფრაზედ წვეულობის დროს, გადააჭვთ ავეჯი, როდესაც სახლიდან სახლში გადადიან და სხვ.

ზოგი ამ ბიჭთაგანი ნამყოფია ყველგან, მთელ ქვეყანაზე კუთხე არ გადარჩენია უნაში. ორი მდიდარი ინგლისელი დანაძლევდენ, რომ ერთი ამ პატარა ბიჭთაგანი წავა ლონდონიდან ჩიკაგოში, ნიუ-ორკში, ფილადელფიაში, წაიღებს აღნიშნულ პირებთან გარინებულ წერილებს და თავის დროზე დაბრუნდება ისევ ლონდონში. ტელეფონით გამოიწვიეს 14 წლის ჯერი, რომელიც მაშინათვე გაემგზავრა. მშვენივრად შეასრულა დაბარებული და დანიშნულ დროს დაბრუნდა. სანაძლეო გამგზავნა მოიგო. გაზეთებში დიდის ქებით იხსენიებდენ ჯერების და თვით ინგლისის დედოფალმა ვიკტორიამ ინახულა ეს მარჯვე, გამბედავი ბაგშვი და ძვირფასი საჩუქარიც უბოძა.

მეორე 14 წლის ბიჭუნას ვილლს ეგვიპტის ნაციონალურ ბანკის დირექტორმა დაავალა წასულიყო კონსტანტინოპოლიში და მიერთმია ოსმალეთის სულთანისთვის ძვირფასი საჩუქარი, დაფასებული 50000 ფრანკათ. ვილლმაც ჩინებულად ასრულა ეს დაბარება.

ერთმა შესანიშნავმა ინგლისელმა ექიმმა გაგზავნა პარიჟში ერთი ამ ბიჭთაგანი პასტერის ინსტიტუტში მიკრობებით სავსე შუშებით და იმანაც ჩინებულათ შეასრულა ეს მინდობილება.



ଅଲୋହିର ଧାରାପାତ୍ର.


(ବିଜୁଳିକାନ୍ତି ଧାରାପାତ୍ର ପାତ୍ରକାରୀ)

ଜ୍ୟେଷ୍ଠ ମୌସିନିଲ ବ୍ୟାଙ୍ଗରେ କୁନ ତିତାନ-ତିତାନ ବ୍ୟେତି ବ୍ୟେ
ଦାୟୁଷିତ, ଖରମ ସିତ୍ୟବ୍ୟେଦି ଗାମନ୍ତିରେ ଲା ମାତ୍ର ଫରାଳ ମଧ୍ୟ
ବ୍ୟେଦିରେ ଚାକିତବ୍ୟେଦି ଗାମନ୍ତି-ଗାମନ୍ତି କ୍ଷାଲାଜିତ ବ୍ୟେଦି ଗାମନ୍ତିରେ
ଗାମନ୍ତି, କ୍ଷାଲା, ଲାକା, ମଥି, ଦ୍ୟା, ବଦା, ଅତ୍ୟା.

୪ ୩ ୧.

ବାହିମ ତାରି ଦାୟୁକା.

ରମ୍ପଣ୍ଡିଶ୍ଵର.



Продолжается подписка на 1912 г.
Политическая общественная и литературная ежедневная
газета

годъ
(VII)

,Закавказье“

годъ
(VII)

Подписная цѣна:

Для городскихъ

подписчиковъ:

На одинъ годъ . . . 6 р.

На полгода . . . 3 р. 50 к.

На три мѣсяца . . . 2 р. 25 к.

На одинъ мѣсяцъ . . . 75 к.



Для иногородныхъ:

подписчиковъ

На одинъ годъ . . . 8 р.

На полгода . . . 4 р. 50 к.

На три мѣсяца . . . 2 р. 75 к.

На одинъ мѣсяцъ . . . 1 р.

За гравицу вдвое.

За перемѣну адреса городского на иногородный—1 р., съ иногороднаго на иногроздный—50 к.

Отдѣльный номеръ 5 коп.

Редакція открыта отъ 10 до 3 час. Редакторъ принимаетъ для личныхъ переговоровъ отъ 2 до 3 час. дня

Редакція и контора помѣщается въ Тифлисѣ, на Дворцовой ул., въ домѣ грузинскаго дворянства. Телефонъ редакціи № 971.

Открыта подписка на 1912 годъ

НА ГАЗЕТУ

,Закавказская Рѣчъ“

Подписная цѣна

Съ доставкой на домъ:

Въ Тифлисѣ.

Въ провинціи.

На годъ 6 руб.—коп.

8 руб.—коп.

” полгода 3 руб. 50 коп.

4 руб. 50 коп.

” 3 мѣсяца 2 руб.—коп.

2 руб. 25 коп.

” 1 мѣсяцъ — 75 коп.

-- 75 коп.

Отдѣльный номеръ 5 коп.

АДРЕСЪ: Тифлисъ, редакція газ. „Закавказская Рѣчъ“, Дворцовая ул. д. Сараджева.

Для телеграммъ: Тифлисъ, „Закавказская Рѣчъ“.

Редакторъ кн. Г. М. Палавандовъ.

Издатель Д. З. Горделадзе.

ჯ ე ჯ ი ლ ი

საქმაწვილო ნახატებიანი ქურნალი.

ოცდა ესამე წელი მარტი.

მიმღება ხელის მოწერა 1912 წლისთვის

გამოვა თვეში ერთხელ, ქურნალში ორი განეოფალება.
ბათ, პარაკებისათვის და მოხრდილთაოვანს.

ურნაღი «ჯეჯილი» თბილისში ედირება
± მან, ქალაქ გარეთ (გაგზავნით) 5 მან.

ნახევარი წლით 5 მან., ფალები ნომერი 40 კაბ.
ქალაქ გარეთ მართვებულებს შეუძლიანთ მიმართონ:

ქუთაისში—ისიდორე კვიცარიძეს.

ბაქოში ქალ. მართა კვიტაშვილს.

მიხაილოვში—ვლად. ჩიქოვანს.

გორში—ენ. თამარა თარხნიშვილს.

სამტრედიაში—რაფენ ნანგიშვილს.

თელავში—ენ. ნ. ჩოლოყაშვილს.

სიღნალში—ენ. ნ. ანდრონიკაშვილს.

ჭიათურაში ქალ. ჯაფარიძეს და —ნიკო წუწუნავას

გათუმში—მიხეილ კალანდაძეს.

ფორუს აღრესი: Въ тифлисъ въ Ред. Грузинскаго дѣтскаго
журнала „Джеджили“

რედ.—გამომცემელი ან. თუმანიშვილი წერეთლისა.

მიღება ხელის მოწერა 1912 წლისთვის

გაზეთ „თემატიკა“

ვასი გაზეთისა:

წლიურათ 2 ბ. 50 კ.

ნახევარი წლით 2 ბ.

სამი თვით 1 ბ.

გაცხადებათა ვასი:

პირველ გვერდზე პეტიტის სტრიქონი 15 კ.

უკანსკნელ გვერდზე 10 კ.

ტექსტის შუაგულს 20 კ.

სამგლოვიარო განცხადების ერთხელ დაბეჭდვა 3 ბ.

რედაქტორ-გამომცემელი გრიგოლ დიასმიძე.

რედაქციის და კანტორის აღრესი: Дворцовая, № 6,
ა. დ. ვ. Сараджева, Рел. газ. „თემი“.